1912

ნაპერწალი

საბავშვო ჟურნალი

·მცირე წლოვანთათვის·

მ-ა ი ს ი.

№ 10

ცისკარი

წელიწადი მე-VIII. № 10 აპრილი, 1912 წელს

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სახელმწიფო ბიბლიოთეკა

თბილისი



კატების გალობა.

შინაარსი:

I— კატების გალობა,—სურათი . . . . . , ... 1

II—კვლავ გაზაფხული,—ლექსი ი. მჭედლიშვილისა . . 3

III—სააღდგომო საჩუქარი,—დ. ვედრებისელისა . . . 4

IV—ფარშავანგი, ყვავი და არწივი, (თარგმანი) ლადო ბზვანელისა. 11

V—ოთხნი ერთ ოჯახიდან,—თარგმანი (შემდეგი), მარიამ იაშვილისა 13

VI როგორ იცავენ თავს ცხოველები მტრისაგან,—შემდეგი (გადმოკეთ.), გ. ანთელიძისა 16

VII—გველის წიწილები 21

VIII გასართობი: შარადა, რებუსი და აღსნა. . . . 22

ტფილისი, ელექტ.-მბეჭ. ს. ლოსაბერიძისა, მოსკოვის ქ., საკ. სახლი № 5.



კვლავ გაზაფხული.



ვ

ვლავ გაზაფხული!
კვლავ ია-ვარდი!
კვლავ სიხარული
და კვლავ ნავარდი!

კისკასით მოსჩქეფს მთის ნაკადული,
არა აქვს სევდა, არა აქვს დარდი.

ცა ულრუბლოა, ვით ბავშვის გული,
ლამაზობს მდელო აყვავებული;
ეთამაშება ჰეჰელა ყვავილთ,
ვით შველი დედას გახარებული...
ჭსარობს უსულო, ჭსარობს სულდგმული,
ქებით შეამკობს ყველას ბულბული.
მშრომელი ხალხი მოედო მინდორს,
ისმის სიმღერა, ტკბილი ურმული.

ი. მჭედლიშვილი.

საალდგომო საჩუქარი.

ლიკო იდგა დიდ ქუჩის კუნჭულში და რაც ძალა და ღონე ჰქონდა ეკივლა:

— ახალი გაზეთი! ხვალინდელი გაზეთი! ოსმალო-იტალიელების ომი! ახალი ამბები! გემის დაღუპვა!

წვიმდა. ქარიშხალი ამოვარდა. საშინლად ცივდა. ილიკოს თხელი ტანისამოსი ეცვა: დაკერებულ ჩუსტებიდან წითელი თითები უჩანდა; იღლიაში ამოდებული ჰქონდა ახალი ჟურნალ-გაზეთები; იდგა და კანკალებდა: აწუხებდა თან სიცივე, თან დარდი.

ბინდ-ბუნდში ქვაფენილი ისე კრიალებდა ელექტრონის შუქით, თითქო ლაქი წაუსვამთო.

ვიღაც ახალგაზრდა ევროპიულად ჩაცმული უზარ-მაზარ შავ-ქოლგიანი ქალი მიუახლოვდა ილიკოს და ჰკითხა:

— აქაური გაზეთები გაქვს, თუ რუსეთისა?

— აქაური და რუსეთისა, რაც გნებავთ!—ეოჩაღად უპასუხა ილიკომ.

ქალმა ქოლგის ქვეშ აირჩია ოთხი გაზეთი და მეგაზეთეს აბაზი მისცა.

— ღმერთმა გიშველოს,—დალოცა ქალი თავის გულში ილიკომ, შეინახა აბაზიანი და უფრო მხიარულად დაიწყო ეფირილი:

— ახალი გაზეთი! ხვალინდელი გაზეთი; გემის დაღუბვა! ძალიან სცდილობდა ილიკო, მაგრამ მუშტარი არ იყო; ორი დღის შემდეგ აღდგომა გათენდება და სუფველა ეშურებოდა ბედნიერ დღისთვის რაგინდარაობის საყიდლად.

იმ კუნჭულში, საცა ილიკო იდგა, დიდი საკანდიტრო იყო.

ვიღაცაებმა გამოიტანეს იქიდან ორი კოხტად მორთული ბასკა ჯვრებით, შაქრის ბატკნებით, ვარდებით და ეტლში ჩასხდნენ.

— ეჰ!—გულსაკლავად ამოიოხრა ილიკომ—ჩემ დიდდედას ვინ ახარებს აღდგომას? ვინ არის იმისი ბატრონი! რაღა იმისი ბედი იყო ეს საშინელი ამინდი?! აბა, რა ვქნა მე უბედურმა?! ერთი ორი მანეთი რომ მეშოვნა დღეს, ჩემ მოხუცებულს გავახარებდი რითიმე; ხვალ ჩვენები მიდიან სოფელში: რაძეს გაუგზავნიდი ბებიას. რამდენი ხანია კვერცხი ვიყიდე, მაგრამ ცარიელს ხომ ვერ გავგზავნი.

ორი კოხტად ჩაცმული ახალგაზრდა კაცი მიდიოდა გზაზე.

— ნეტავი ამათ მაინც იყიდონ!—იფიქრა ილიკომ, და უცებ-კი შეუსრულდა სურვილი: ჟურნალ-გაზეთები იყიდეს ორი აბაზისა. გაულიმეს მეგაზეთეს, მეეწონათ იმისი ლამაზი შავი თვალები, და წავიდნენ.

— ბებიას ბედი იქნება, დღეს რომ გავასაღო ეს ჟურნალ-გაზეთი!—ფიქრობდა ილიკო.—მაგრამ როდის? დაღამდა კიდეც. სამ საათზე მიდიან ჩვენები; მოვასწრებდი ვაჭრობას.

— ახალი ჟურნალი, ახალი გაზეთი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ ხალხი აღარა სჩანდა.

გვერდით სამ-ოთხ ნაბიჯზე კლუბი იყო. უცებ გაიღო კარები და ხალხი ქუჩაში გამოვიდა.

რაღაც ერილობა იყო და ხალხი ახლა იშლებოდა.

— იქნება აქ მაინც გავასაღო!—მოისაზრა ილიკომ და გაექანა კარებისაკენ.

— ახალი გაზეთები!—დღევანდელი გაზეთები! – შეჰყვირა ხალხს ილიკომ. მაგრამ არავინ ყურადღებას არ აქცევდა. საცოდავად იდგა ატუზული ფარანთან და ძაგძაგებდა.

.....

სულ უკანასკნელად ერთი მოხუცებული მაღალი ჰატიოსანი კაცი გამოვიდა. სახეზე ეტყობოდა რაღაც დარდით ჭქონდა სავსე გული. შეჩერდა, ილიკოს დაუცქერდა.

— გაზეთი გნებავთ, ბატონო?

— ახალია?

— დიახ; რომელი გნებავთ?

ჰასუხის მაგივრად ილიკოს შეხედა, ალერსიანად გაუღიმა და ჰკითხა:

— რომელი გინდა, რომ ვიყიდო?!

— თქვენი ნება არ არის, ბატონო?—გაიღიმა ილიკომაც.

— აქეთ მოდი, ბიჭო! წვიმაში ნუ სველდები.

ამ სიტყვებით უცნობი კაცი დაბრუნდა კლუბის კარებთან, გააღო, შეიყვანა მეგაზეთე და ჰკითხა:

— რაც იღლიაში გაქს, სულ რომ გაჰყიდო, რა გერგება?

— როგორ, ბატონო? მერე ვინ იყიდის? — გაშტერდა ილიკო.

— ვინა, და მე!

— თქვენა? ამდენს? რად გინდათ?

— შენ რა გენაღვლება, მხოლოდ მითხარი—რა ღირს ეგ შენი საქონელი?

ილიკომ საჩქაროდ დათვალა:

— ორმოცდა ათი, ოთხმოცი გაზეთი.

ეს ოთხი მანეთი: ოცი ქურნალი, თითო 12 კაპ. —თორმეტი აბაზი;—სულ ხუთი მან. და ორი აბაზი.

მოხუცმა ამოიღო უბიდან საფულე, მისცა ხუთი მან. და ორი აბაზი და უბრძანა ილიკოს:

— ეტლს დაუძახე! შენ ეოჩადი ბიჭი ხარ.

— ბატონო! დიდად გმადლობთ! არ ვიცი, როგორ გადაგიხადოთ მადლობა?

— კარგი, კარგი!—თითქო ეჩოთირებოდა ეს მადლობა უცნობს:—დამიჭირე ეტლი და ჩამილაგე ეს შენი საქონელი.

ილიკო გავარდა ქუჩაში, ერთ წუთში ისევ დაბრუნდა, აიღო ქურნალ-გაზეთები და გაქანდა ეტლისაკენ.

უცნობი კაცი ეტლში ჩაჯდა, მუხლებზე დაილაგა ნა�di ქურნალ-გაზეთები; შეხედა ბედნიერ ილიკოს და ქუდი მოუხადა. ეტლი დაიძრა.

— ღმერთმა მრავალი აღდგომა გაგითენოსთ, ბატონო!

— ხან-და-ხან სასტუმროში სულ უბრალო საუზმეზე ვხარჯავ ამ ფულს:—ფიქრობდა უცნობი კაცი.—თუ არ გაჭი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რება, ამ სიცივეში რა აამაგძაგებდა ქუჩაში საცოდავ ბავშვს! —მთელი ექვსი დღე ვიყელი მატარებლით,—რამდენ მუშას ვასიამოვნებ: ფანჯრიდან გადაუყრი, წაიკითხავენ, რა ამბებია ქვეყანაზე: იმათაც ვასიამოვნებ, მეგაზეთეც გავასარე...

სალხით გაჭედილი ჭრიალით მიცოცავდა სამნე ურემი ასლად აძწვანებულ მინდვრებში.

აქა-იქ ნაკადულებში, ან მდინარე წუალში თითქო სარკეში იცქირებოდა მოწმენდილი ცა. მთებს ლამაზად ეხურათ თეთრი ზამთრის ქუდები, გაზაფხულის მზის შუქს ჯერ კიდევ არ აელოკნა იქ ზამთრის თოვლი, ქვევით ბარში-კი ბატარძლების მზგავსად მორთული აეკაკვებული ხეები იდგა.

მოხუცი მართა იჯდა ჯირკვზე თავის ქოხთან და ყვითელ წიწილებს აფშრუკულ სიმინდის ფქვილს უყრიდა.

იჯდა დაღონებული და ხან ტყეს გასცქეროდა, ხან გზას,—თითქო ვიღასაც ელოდა.

მაგრამ ვინ მოუვიდოდა?!

ერთად-ერთი ქალი ჰყვანდა, ისიც ეს ოთხი წელიწადია, რაც მოუკვდა; ილიკოც შინ აღარ დარჩა: გაათავა თუ არა სოფლის სკოლა, ქალაქში გაჰყვა მუშებსა და დიდედას მხოლოდ ალერსიან წერილებს უგზავნიდა. დედის ერთა ვანოც ბაქოსკენ წავიდა, იქ დაბინავდა: აღარ აგონდებოდა თავისი საწუალი დედა.

გაშტერებული იცქირებოდა მართა.

დღეს წითელი ბარასკევია. ოჯახში გაჩქარებული მუშაობაა, სუყველა ქრისტიანი ფიქრობს ღაღადით მიეგებოს აღდგომას, სისარულით მოიგონოს საუდარში იმის აღდგომა, რომელმაც დაიხსნა ქვეყანა.

მაგრამ საუდარში როგორ უნდა წავიდეს საცოდავი მოხუ-

ცი, ფეხშიშველა: ორი გროშიც არა აქვს, რომ სანთელი იყიდოს,

— ხი-ი, მა-ა-მ-ო-ო!—მოისმა მეურმის ხმა, და ისე უცებ გამოჩნდნენ წითელი ხარები და საძნე ურემი, რომ მართას შეეშინდა.

— მშვიდობა შენთან!—მხიარულად შესძახა ახალგაზრდა სანდრომ.

— ღმერთმა მშვიდობა მოგცეს,—უპასუხა მართამ და გაუკვირდა, რომ იმის ეზოსთან დააყენეს ურემი.—საიდან მოდიხარ?

— ქალაქიდან; ილიკომ გამომატანა შენთან წერილი.

— მართლაა?—სიხარულის შუქი გადაჭკრა სახეზე მართას:—იმას ვენაცვალე, მამიგონა! ხომ კარგად არის?

— კარგად არის. წერილიც არის და საღდგომო ფეშქაშიცა; აი, მიირთვი.

მხიარულ ჩითში იყო გახვეული უზარ-მაზარი წითელი ხის კვერცხი.

— რა არის ეს?—გაუკვირდა მართას, როცა საჩუქარი ხელში აიღო.

— რაც არის, გასინჯე და ნახავ,—უთხრა:—ესეც წერილი;

—აბა გარეკე ხარები!—უბრძანა მგზავრმა მეურმეს.—უკაცრავად, დეიდა, გვეშურება: ხომ იცი, რა შორსა ვართ,—შვიდობით!

— მშვიდობით, გენაცვალე! დიდი მადლობელი ვარ, ღმერთმა სიხარულის აღდგომა გაგითენოს, შვილო!

დიდის წვალებით გასხნა მართამ კვერცხი, გადაშალა რბილი ქაღალდები და საშინლად გაშტერდა: ორ-გირვანქიანი

ჰასკა, ჩაი, დამტვრეული შაქარი, ერთი წვეილი ფეხსაცმელი, შავი თავშალი, ჰაწია საფულე, სამი მანეთის ახალი თეთრი ფულით სავსე.

. . . . . , დიდედა!

. . . ,,შენ თავს გაუფრთხილდი!—სწერდა მართას შვილის-შვილი—,,ცოტა კიდევ შეეაგრეგეებ ფულს და ამოვალ, გნახავ''...

— ქრისტე აღსდგა! — მიულოცა ხალხს ეკლესიაში ღვდელმა.

— ჭეშმარიტად!

ბნელ კუნჭულში იდგა სუფთად ჩაცმული მართა ახალი თავშალითა, ახალ ფეხსაცმელით; ხელში სანთელი ეჭირა, ღმერთს თაეანსა სცემდა და ქრისტეს ეეედრებოდა:

— მიეცი დღეგრძელობა ჩემ ჰატარა ილიკოს! გაახარე ისე, როგორც მე დღეს გამახარა. უშველე ტანჯულ ქვეყანას, ობოლს, უპატრონოს, დაჩაგრულსა, — ლოცულობდა მართა და სიხარულისა და გულ-მტკივნეულობის ცრემლები თვალთაგან ჩამოსდიოდა.

დ. ვედრებისელი.



ფარშავანგი, ყვავი და არწივი.

(თარგმანი).

ერთხელ უდაბურ ტყეში ხის ტოტზე შეიკრიბნენ ციცინრი, ყვავი, შაშვი, შოშია, ბუ, ფარშავანგი და სხვა ფრინველები, რიცხვით სულ ოცამდე, მეფის ამოსარჩევად. ფარშავანგმა მედიდურად გაიხწორა თავისი ფერადი ბოლო და მოახსენა კრებას: „მე მგონია მეფედ გამოვდგები, რადგანაც ჩემი მოუვანილობა და სილამაზე შეეფერება მეფეს; თანახმა ხართ, მეგობრებო, თუ არა?“

ფრინველები თითქის მზად იყვნენ გამოეცხადებინათ თანხმობა, მაგრამ უცებ გადმოსტა ყვავი და შეეკითხა ფარშავანგს:

— შენ მართალია ტანად ყველაზე დიდი ხარ, ბოლოც მეტად მშვენიერი გაქვს, მაგრამ მტერი რომ დაგეცეს ახლა, როგორ გაუმკლავდები? მაგალითად ავგეცა არწივი: რით დაგვიფარავ?

— როგორ თუ რით? ჩემის ფერადის ბოლოთი,—უპასუხა ფარშავანგმა.—მთელი ქვეყანა აღტაცებულია, როცა მიცქერის!

— აბა, სინჯე, ჩხუბი თუ გინდა ჩემთან,—მიაძახა ყვავმა,

თან მიეარდა, ორი ფრთა მოგლიჯა ფარშავანგს და მიურბენინა კრებას.

ყველამ დასძახა: „ვაშა!“ ფარშავანგი შერცხვენილი გაიპარა სახლში. ყვავი აირჩიეს მეფედ, მაგრამ ცუდი დღე დადგა ბოლოს: არჩევნების აბბავი შეიტეო არწივმა; მაძინვე მოფრინდა, მიეარდა ყვავს კლანჭებით და შუაზე გაგლიჯა; თან ათიოდე სხვა ფრინველიც მიაყოლა. ამას შემდეგ ფრინველებს არწივი ჰყავთ მეფედ.

ლადო ბზვანელი.

ოთხნი ერთ ოჯახიდან.

(შემდეგი).

შეშის ნაპობის თავგადასავალი.

თელ ტეეში მე ეველაზე ამაეი ხე ვიეავი; სთქვა ნაპობმა.

— მკვეხარა,—წარმოსთქვა ნახშირმა:—დამაცადე, ჩემი ჯერი რომ მოვა, მე შენ გიჩვენებ.

— შენ თვითონ დამაცადე,—უთხრა ნაპობმა: დიახ, მე არეი ვიეავი. უშველებელ ტეეში მე ვიდექი ტეის ნაპირას და შეეტრფოდი ჩემ ტოტებს, რომლებიც მჭვირვალე ტბის წეალში მოჩანდნენ.

ეოველ გაზაფხულზე ვიშლებოდი და მშვენიერ სანახაობას წარმოეადგენდი. მაგრამ, არა ღირს ამაზე ლაპარაკი, რადგანაც ეოველი ჩემი მნახველი აღტაცებაში მოდიოდა და ამას მაღლა ხმით აღიარებდა. ერთმა ბოეტმა ჩემზე ლექსიცა-კი დასწერა და მიათავსა ჟურნალში. ორმა ევავმა ჩემს წვერზე გააკეთა ბუდე და ამავე დროს ნიბლია და შროშანი ცხოვრობდნენ ჩემ ტოტებზე; ეს ბინა საშინლად მოსწონდათ, მით უფრო, რომ ბინის ქირას არ ვართმეევდი.

— ეს ყველაფერი კარგი, — სთქვა ნახშირმა, — მაგრამ, ვაი რომ ახლა აღარა გეტყობა რა წარსულისა...

— ჩემ ფეხ-ქვეშ გადაშლილი იყო საუცხოვო ხალიჩა, — განაგრძო შეშის ნაჭობმა: გაზაფხულზე გადიშლებოდა ხოლმე მშვენიერი სოსანი კლდის ბალახები; ზაფხულში — ამწვანებული ფაქიზი ბალახი, შემოდგომაზე — კიდე ჩემი საამური ოქროს ფერი ფოთლები, ხოლო ზამთარში თვით ცა მიფენდა თოვლის ფიფქის მშვენიერ ხალიჩას.

— წლით-წლობამდე ვიზრდებოდი, ჩემი ტოტებიც იზრდებოდა და ბოლოს უშველებელ ლამაზ ხედ გადავიქეცი. ზამთარში, როცა ქარ-ბუქი იქაურობას იკლებდა, და ჩემი ამხანაგები ადვილად იმსხვრეოდნენ, მე არცა-კი ვინძრეოდი.

ასეთი მშვენიერი იყო ჩემი ყოფა-ცხოვრება.

— უკაცრავად, ბატონო, — სთქვა ტორფმა, — დასასრული როგორი-ღა ჰქონდა?

— არცა-კი ვიცი, სწორე კითხრა, — უპასუხა ნაჭობმა. ალბად დიდი გავიზარდე. გაგონილი მქონდა ადამიანების აზრი, რომ ახალგაზრდა ხეები უნდა დაიზარდნენ, ხოლო ჩემისთანა მოწიფული ხე უკვე დასაწვავად გამოსადეგიაო.

— ადამიანები! ხა, ხა, ხა, — გადიხარხარა ნახშირმა.

— ადამიანები! ხა, ხა, ხა! — გაიმეორა ტორფმა.

— მე დიდი ხანია აღარ ვიცინი, — სთქვა კოკსმა, მაგრამ, რომ შემეძლოს, მეც ბევრს ვიცინებდი: ჰე, ჰე, ჰე!

— არ ვიცი რაზე ხითხითებთ, — წყენით უპასუხა ნაჭობმა, — ადამიანები ჩვენი პატრონები არიან, ეს მე კარგად ვიცი: იმათ გადამხერხეს, მომაბეს თოკები და იმდენ ხანს მწიეს, სანამ არ გადავიქეცი. ამას ათი კაცი მოუნდა. ისეთი ხმაურობით დავეცი, რომ დედამიწა მთლად შეინძრა. შემდეგ ნაწილ-ნაწილ დამხერხეს, დამაჭეს ცულით, გამეიდეს და სახლში შემზიდეს.

— რაც უწინ ვიუავ, ის აღარა ვარ. დიდებული ხისაგან მხოლოდ მე-ღა დავრჩი, როგორც თქვენც მხედავთ. აი, ეს არის ჩემი თავ-გადასავალი. თუ სხვას უკეთესი რამ აქვს სა-თქმელი, გვიამბოს.

— ეს ხომ აგრეც იქნება,—სთქვა ნახშირმა:—აბა, ახლა მოვისმინოთ ტორფი რას გვიამბობს.

— დიაღ... უკაცრავად,—მიუგო ტორფმა შერცხვენით.

— მართლაც, ჩემი თავ-გადასავალი ისეთი მოსაწყენია,— მრცხვენია კიდეც,რომ გიამბოთ.

— მაინც გვიამბე,—უპასუხეს ხეებმა.

მარიამ იაშვილი.

(შემდეგი იქნება).

როგორ იცავენ ცხოველები თავს მტრისაგან.

ბილოებსავით ცხოვრობენ ზოგი მაიმუნებიც: იმათაც ჰყავთ მეთაურნი, ეარაულები, იმათშიაც საოცრადაა განვითარებული საზოგადოებრივი ჩვეულებანი. ბევრი მოგზაური ამბობს, მაიმუნები სამაგალითო თავ-განწირვით და სიმამაცით იცავენ თავიანთ მოძმეებსო: თუ რომელიმე მათგანს რაიმე უბედურება შეემთხვა, ის ყვირილით აცნობებს ხოლმე თავისიანებს; ხმის გაგონებაზე ეჩქარა სწრაფად გაეშურება სა-

მაიმუნები..

შველად, და ვაი იმ არწივს, რომელმაც კლანჭები ჩაავლო რომელსამე ახალგაზრდა მაიმუნს და მაღლა აფრენა კი ვერ მოასწრო: ერთობ ცუდი დღე დაადგება მაიმუნებისაგან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საურთიერთო დახმარება, თავისიანის თავ-განწირული დაცვა, მზრუნველობა თვითეულისა ეველასათვის და ეველასი თვითეულისათვის—აი ის ფრიად სასარგებლო ჩვეულება, რომელიც ივარაგს მტრისაგან ეგრედ წოდებულ საზოგადოებრივ ცხოველებს.

ფრიად საინტერესოა საზოგადოებრივი ცხოვრება წავებისა, ჭიანჭველებისა და ფუტკრებისა. ფუტკართა და ჭიანჭველათა ცხოვრება კიდევ იმითაა შესანიშნავი, რომ ის ნათლად გვაჩვენებს, რა დიად ძალას წარმოადგენს საზოგადოებრივი ცხოვრება.

სპილოები, მაიმუნები და წავები შედარებით ძალიან ჭკვიანი ცხოველები არიან: იმათ მშვენივრად აქვთ განვითარებული გონება-აზრიანობა. არაფერი ამის მზგავსი არ მოეპოვება ჭიანჭველებსა და ფუტკრებს, მაგრამ მათი რთული, საკვირველი საზოგადოებრივი ცხოვრება დამყარებულია საზოგადოებრივ ჩვეულებაზე—საურთიერთო დახმარების ალდოზე და ერთობაზე.

წავი.

წავები მშვენიერ სადგომებს იკეთებენ. თვითეულ ჯალაბობას თავისი ბინა, სახლი აქვს. იმათი ბინა მაღალ და რგვალ, ეოველ მხრიდან დახურულ კარავს მოგვაგონებს. თითეული ასეთი კარავი უსათუოდ წყალში უნდა აშენდეს. წავები წყალში ცხოვრობენ და სადგომებსაც წყალში იკეთებენ, რომ აშგვარად უზრუნველ-ჰყონ თავიანთი თავი სხვა-და-სხვა მტაცებელ ცხოველებისგან. წავები თავიანთ სადგომებს გუბეში აკეთებენ; გუბეს კი შეერთებული ძალით აწყობენ. წულის

ეროვნული ბიბლიოთეკა

დასაგუბებლად ხშირად მაღალსა და გრძელ ეორეს აკეთებენ. ეორესათვის საჭირო მასალას: ხის ტოტებს, ფიჩხსა და ხოგჯერ ხეებსაც ისინი კბილებით მოღრღნიან ხოლმე, მდინარესთან მიათრევენ, გარდი-გარდმო უდებენ, ხელოვნურად ხლართავენ ერთმანეთში და ჯუჯრუტანებს თიხით ანუ ლამით გალესავენ ხოლმე. ამნაირად წყალი იგუბება, ღრმავდება, და ამ შეგუბებულ წყალში წავები შემდეგ თავიანთ, ასე ვთქვათ, ქოხებს აშენებენ. ცხადია, რომ ერთი ანუ ორი წავი ვერ შესძლებდა ასეთ გუბეს გაკეთებას, რადგან ეს ნამუშაევარი თხოულობს შეერთებულ, მწყობრ მუშაობას წავთა მთელი ჯგუფისას. წავები ჯგუფებად დადიან მასალისათვის, შეერთებულ ძალით ღრღნიან ხეს და, როცა წააქცევენ, შეერთებული ძალითვე მიათრევენ იმ ადგილას, საცა გუბე უნდა გააკეთონ. რაც შეუძლებელია ერთი წავისათვის, იმას ადვილად აკეთებს რამდენიმე ათეული.

სასარგებლო ზნე-ჩვეულება და ჭკვა-გონება, რომლითაც დაჯილდოვებულია წავი, აიძულებს იზრუნოს არა მარტო თავის თავისათვის არამედ სხვებისთვისაც. თავისთვის ზრუნვის გარდა სხვისათვის ზრუნვის ჩვეულებაც ფრიად სასარგებლოა თვითოული წავისათვის, რადგან ეს ჩვეულება შეძლებას აძლევს თავისი თავი უფრო უზრუნველ-ყოს მტრისა და სხვადა-სხვა ხიფათისაგან.

საეურადღებოა აგრედვე ფრინველთა საზოგადოებრივი ცხოვრება. ზოგი ფრინველები მუდამ გუნდ-გუნდად ცხოვრობენ, ზოგნი კი განსაზღვრულ საჭიროებისათვის შეერთდებიან ხოლმე ჯგუფებად. ამ მხრით საინტერესონი არიან ზამთარში ცხელ ქვეყნებში გამფრენი ფრინველები: მერცხალი, ბულბული, მწყერი და სხვა.

ეველამ იცის, რომ ფრინველების უმეტესობა ჩვენთან ატარებს მხოლოდ გაზაფხულსა და ზაფხულს, შემოდგომაზე

კი თბილ ქვეყნებში გადაფრინდებიან ხოლმე, სადაც მთელ ზამთარს ატარებენ. მთელი ზაფხულის განმავლობაში ცალ-ცალკე ანუ წყვილებად ცხოვრობენ, გამგზავრების წინ კი ერთად გროვდებიან, გუნდებს ადგენენ და თბილ ქვეყნებისკენ მიეშურებიან.

თბილი ქვეყნები ჩვენგან ძალიან შორს არის, და ამოდენა მანძილის გავლა ხომ ძნელია ჰატარა, სუსტ ფრინველისათვის. ეს სიძნელე ნათლად წარმოგვიდგება, თუ გავიხსენებთ, რომ ჩვენსა და იმ ქვეყნებ შორის ვეებერთელა ზღვებია. ფრინველები მუდამ ერთსა და იმავე გზით მოგზაურობენ თბილ ქვეყნებისაკენ და იქიდან ჩვენკენ. იმათ როგორღაც ახსოვთ ერთხელ არჩეული გზა. თუ მოგზაურობის დროს ზღვაზე გადაფრენა მოუხდათ, ირჩევენ ისეთ ადგილს, რომელიც უფრო ვიწროა, ან ისეთი მიმართულებით მიფრინავენ, რომ მოგზაურობის დროს კუნძულს წააწყდნენ, სადაც ისვენებენ ხოლმე.

ერთი სიტყვით ეს მოგზაურობა ისეთი ძნელი რამაა, რომ, რომელი ფრინველიც გინდა აიღეთ, მარტოდ გადაფრენას თბილ ქვეყანაში ვერ შესძლებს. მაგრამ როცა ისინი ერთად შეიკრიბებიან, ეს ძნელი საქმე გუნდისათვის ადვილი დასაძლევი ხდება. მოგზაურობის დროს ფრინველების გუნდს ხელმძღვანელობს უფრო გამოცდილი ფრინველი. ხელმძღვანელი ირჩევს დასასვენებელ ალაგს, იგივე ჰყარაულობს გუნდსა შესვენების დროს, იმისი ბრძანებით განაგრძობს გუნდი მოგზაურობას, ის მიუძღვის წინ და გზას უჩვენებს. ყოველთვის, შესვენების დროს, გუნდი უსათუოდ ყარაულებს დაუყენებს ხოლმე. ყარაულები, რასაკვირველია, კეთილ-სინდისიერად ასრულებენ თავიანთ მოვალეობას და უზრუნველ ჰყოფენ გუნდს მტრის მოულოდნელ თავდასხმისაგან; გუნდი კი ამ დროს არსეინად ისვენებს და საჭმლის შოვნაშია გართული.

აბა დააკვირდით ცხოველს, რომელიც უნდა იყოს, დაა-კვირდით ყურადღებით, და დარწმუნდებით, რომ სრულებით უმწეო ცხოველი, დამცველ საშუალების სრულებით არა მქონე, არ არსებობს დედამიწის ზურგზე; ასეთი ცხოველი ვერც იარსებებდა. და მართლაც—აბა რანაირად უნდა იარსებოს სრულებით უიარაღო, უმწეო ცხოველმა? თითოულ მათგანს, როგორც ბაწაწა ჭიას, ისე ვეება ლომს და ვეშაპს—მტერი ჭეავს, რომლისგანაც თავი უნდა დაიცვას.

გ. ანთელიძე.





გველის ფიფილები.

(ივავი).



ოფლის ბავშვებმა ნანგრევებში გველის ბუდეს მიაგნეს. შიგ ახლად გამოსული წიწილები დაინახეს, შექნეს კიჟინი, დაუშინეს ქვები და თვალის დასახმახების უმალ სულ-ერთიან გაქლიტეს.

დედა, გველი ნადირობას ეოფილიეო. როცა დაბრუნდა და ოჯახის განადგურება ნახა, მოროო ტირილი:

— რა ღვთის რისხვაა! რა უსამართლობაა! ნეტა ვიცოდე, ჩემმა ჭაწაწა შვილებმა ვის რა დაუშავეს? ვის რა აწყენინეს? რისთვის, რა მიზეზით მოუსწრაფეს ჯერ ისევ ნორჩი სიცოცხლე ამ უბედურებსაო?

— როცა დაიზრდებოდნენ, ეგენიც გველებად იქცეოდნენო,— მიაძახა ბაყაყმა, რომელსაც იქვე ახლო გუბიდან თავი ამოეყო.

ალ. მირიანაშვილი.

♣ ♣ ♣

შარადა.

პირველ ვახსენოთ ცხოველი—
ცხელი ქვეყნისა სტუმარი,
მოუხეშავი ნადირი,
უზარ-მაზარი ტლუ არი.

ფერად შავია ცხოველი,
გრძელ კბილებ, გრძელ-ცხვირიანი;
ადვილად შინაურდება,
ნადირი ერთობ ჭკვიანი.

ხორცი არ ვარგა საჭმელად,
ძვალი-კი მისი ძვირია;
და ბოლო ასო მოვაკლოთ,
რადგან შარადას სჭირია.

ახლა ვახსენებთ საგანსა!
ს�ი ახოსგან შემდგარსა,
მოწინააღმდეგეს იმითი
ჩვენ ბრძოლას ვუწევთ მედგარსა.

ვაი მას, ვინც მის მაგიერ
სხვას არჩევს—გადაგვარდება:
ადარც თავს, ადარც ქვეყანას
ის ადარ გამოადგება.

ვგონებ, რომ ამის მიხვედრა
არავის გაუჭირდება:
ამასაც ბოლოს მოვაკლებთ,
რადგან შარადას სჭირდება.

აქაც ვახსენებთ ერთ სიტყვას:
მიწაში დამალულია,—
ეოველ მცენარეს უმისოდ
წამს ამოხდება სულია.
პირველ ნახევარს მოვიხმართ,
ბოლო-კი დაკარგულია.

სულ ექვსა ერთად ლითონი
მიწაში არი დებული,
ბუნებისაგან ას წლობით
შექმნილი-დამზადებული;

ლითონში სშირად მზადდება
სადილი ან ვახშამია;
რასაცა ნიშნავს შარადა,
გამოიცანი, ძამია.

ტ. ბ.

რებუსი



მე-9 №-ში მოთავსებულ რებუსის ალნა:

ასალი ცოცხი კარგა ჰგვეის, ძველი მოატანს ქვიშასა.

რედაქტორი: **ნინო ნაკაშიძე.** გამომცემელი: **თ. პ. ი. თუმანიშვილი.**

„ნაკადული“-ს რედაქციაში

და

წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში იყიდება შემდეგი წიგნები:

1) **ზღაპრები ვილჰელმ და იაკობ გრიმისა.**—ფასი. . 30 კ.

2) **ტომის თავგადასავალი,**—თხზ. მარკ ტვენისა, ფასი. 50 კ.

3) **რას გვიამბობს ოთახი,**—თხზ. ავენარუსისა, ფასი . 20 კ.

4) **დასურათებული ასაწყობი ანბანი,**—ფასი . . 1 მ.— კ.

5) **სკრუჯი და მარლეი,**—საშობაო მოთხრობა, ჩარლზ დიკკენსისა, თარგმანი ნინო ნაკაშიძისა, ფასი . 25 კ.

6) **დასურათებული საყმაწვილო მოთხრობები** ჰ. ქ. ანდერსენისა, ერ. სეტ. ტომპსონისა, გ. ინსაინისა და რ. კიპლინგისა, ფასი . . . . . 30 კ.

7) **ბავშვობა და სიყრმე,**—მოთხრობა ლევ ტოლსტოისა, თარგმ. ნინო ნაკაშიძისა, ფასი . . . . . 60 კ.

8) **ორი მხატვარი,**—თარგმანი დ. ავალიანისა, ფასი . 15 კ.

9) **სამშობლო ბუნების სარკე,** დასურათებული საყმაწვილო მოთხრობები,—ივანე ელიაშვილისა, ფასი. 30 კ.

10) **ამხ. „ცისკრის“ გამოცემა,**—ლევ ტოლსტოის მოთხრობები, ფასი . . . . . 5 კ.

11) **შობა,** მოთხრობა გურიის ცხოვრებიდან,—ნინო ნაკაშიძისა, ფასი . . . . . 5 კ.

12) **ახალგაზრდა მეფის სიზმარი და დევი—ეგოისტი,** ორი მოთხრობა ოსკარ უაილდისა, თარგმ. ივ. მაჭავარიანისა, ფასი . . . . . 5 კ.

1912 წ. მიიღება ხელის მოწერა

დასურათებულ საყმაწვილო ჟურნალ

ნაკადულ-ზე

✦ წელიწადი მერვე ✦

ჟურნალი გამოვა ჩვეულებრივი პროგრამით, საგანგებოდ არჩეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით; მონაწილეობას ღებულობენ ჩვენი ცნობილი მწერლები ⁄ პედაგოგები.

წლიურად ხელის მომწერლებს მიეცემათ:

24 წიგნი „ნაკადულისა“ მცირე წლოვანთათვის. **12 წიგნი** „ნაკადულისა“ მოზრდილთათვის.

საჩუქრად მიეცემათ წლიურ ხელის მომწერლებს

✦ დასურათებული 120-ზე მეტი ორიგინალური იგავ-არაკი ალ. მირიანაშვილისა. ✦

ფასი ჟურნალისა: წლიურად ორივე გამოცემა—**5** მ. ნახევარ წლით—**3** მან., ცალკ-ცალკე მცირე წლოვანთათვის **24 წიგნი—3** მან., მოზრდილთათვის **12 წიგნი—3** მან. ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც.

ჟურნალი „ნაკადული“ მცირე წლოვან. და მოზრდილ. 1910 წ. ნება დართულია კავკისიის ოლქის სამოსწავლო მზრუნველისაგან ქართულ სკოლებში სახმარებლად.

ხელის მოწერა შეიძლება **ტფილისში**—„ნაკადულის“ რედაქციაში, ზუბალაშვილის სახ., გოლოვინ. ბრ. № 8. Редакція „Накадули,“ Головинскій пр., № 8, და წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, სასახლის ქუჩა. **ქუთაისში**—ისიდორე კვიცარიძესთან, თ. მთავრიშვილთან და მარიამ უაუხჩიშვილთან. **სამტრედიაში**—ივანე გლადკოვთან. **ფოთში**—თეოფილე კანდელაკთან. **ბათომში**—კნ. სოფიო ნაკაშიძესთან და ტრიფონ იხასარიძესთან. **დ. ხონში**—ეკატერინე გასილის ასულ ბახტაძესთან. **ოზურგეთში ⁄ ლანჩხუთში**—ლეო იმნაძესთან. **თელავში**—ვახო შაატაშვილთან. **ახალციხეში**—კონსტანტინე გვარამაძესთან. **ბაქოში**—ვასილ ახვლედიანთან და ივანე ელიაშვილთან. **გორში**—ნინო ლომაურთან და ქეთევან ჯავახიშვილთან. **სოხუმში**—კნ. მარიამ ანჩაბაძესთან. **ჭიათურაში**—ივანე გომელაურთან. **განჯაში**—ბ. ამბოკაძესთან. **ერევანში**—კ. ოდიშარიასთან. **სილნალში**—ნ. ახმეტელაშვილთან.

რედაქტორი **ნინო ნაკაშიძე.**

გამომცემელი **თავ. პავლე იოსების-ძე თუმანიშვილი.**